საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოკიელი გია ვახტანგის ძე

გოკიელი გია ვახტანგის ძე (დ. 7.I. 1941, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1982), საქართვ. მედ. მეცნ. აკად. წევრი (1994). 1964 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1981–88 იყო ამავე ინ-ტის ჰოსპიტალური ქირურგ. კათედრის პროფესორი, 1988–2002 – ქირურგ. სნეულებათა კათედრის გამგე, 1986–90 – ქალაქის მთ. ქირურგი, 1990–96 – კ. ერისთავის სახ. ქირურგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი, 2002-იდან საქართვ. სახელმწ. სამედ. აკად. გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნ.-პედ. ცენტრის ხელმძღვანელია. გ. შეისწავლის გულმკერდისა და მუცლის ღრუს ქირურგიის აქტუალურ საკითხებს. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის, 2 გამოგონებისა და 5 სასარგებლო მოდელის. გამოქვეყნებული მონოგრაფიისთვის „მიოკარდიუმის მწვავე იშემია და გულის გადანერგვა", მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1989). გ. არის ჟურნ. „კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის" დამფუძნებელი და რედაქტორი (1991-იდან). 1993 დააფუძნა ასევე საზ. ორგანიზაცია – ქირურგიის საქველმოქმედო ფონდი. დაჯილდოებულია აკად. გ. მუხაძის სამახსოვრო მედლით (1981) და ღირსების ორდენით (1999).

თხზ.: მკურნალობის ოპერაციული მეთოდის მნიშვნელობა კუჭის კიბოს დროს, თბ., 1971; ზოგიერთი ახალი მეთოდის დანერგვა მწვავე პერიტონიტების მკურნალობაში, თბ., 1988; მუცლის ღრუს ჭრილობები, თბ., 2003.